“ცდკა” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

1 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები მოსკოვის “ცდკა” და თბილისის “დინამო”.

თამაში დაიწყო დინამოელთა შეტევით და უკვე მე–15 წუთზე მათ შესძლეს ბურთის გატანა. ანგარიშით 1:0 დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში მოსკოველებმა გააცხოველეს თამაში, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა დიდხანს ვერ შესძლეს. თამაშის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, როცა მათ გაათანაბრეს ანგარიში. ამრიგად, მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

3 სექტემბერი, 1946 წ.